ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№64. 64240588
თარიღი:27/02/2024

ვანის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ს 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ბ რ ძ ა ნ ებ

1. დამტკიცდეს:

   ა) ვანის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N1-ის შესაბამისად;

   ბ) 2024 - 2025 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2 - ის შესაბამისად;

   გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ფორმა N3 დანართის შესაბამისად.

2. საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაციულ და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურთან ერთად, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია.

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია,ძმები ნინუების ქ.N1)

ალექსანდრე გოგორიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 1900, ვანი, თავისუფლების ქ. #65, ტელეფონი: 0(432) 221034; ელ. ფოსტა: INFO@VANI.GOV.GE, ვებ-გვერდი: WWW.VANI.GOV.GE 65, TAVISUPLEBA STREET, GEORGIA, 1900, TELEPHONE:0(432) 221034; E-MAIL: INFO@VANI.GOV.GE, WEBSITE: WWW.VANI.GOV.GE